

2
1929



კანონია და განკარგულებათა პრეზრი

ამიერკუვენასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის
მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1929 წლის
ივნისის 16.

№ 11

განყოფილება პირველი

ა/ქსფსრ სახალ. კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართვე-
ლობის მიერ გამოცემული

ზ 0 6 1 5 6 0 :

- მუხ. 89. „შევი და მოთუთიავებული სახურავი რკინის საბითუმით, ნახევარ-საბითუმით და ცალო-
ბითი გაჭრობისათვის საგასაცემო ფასებისა და წანამატების დაწესების თაობაზე“ გამო-
ცემული ა/ქსფსრ გაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის-30-ს თარიღისა
და მე-12 №-ის დადგენილების შეცვლის შესახებ.
- „ 90. სელის ზეთისა და სელის მოხარული ზეთის საბითუმით, ნახევარ-საბითუმით და ცალო-
ბითი გაჭრობისათვის წანამატების დაწესების შესახებ.
- „ 91. ა/ქსფსრ 1929-30 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა და მსვლელობის
წესისა და ვადების შესახებ.
- „ 92. „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანიზაციისათვის მიკუთვნე-
ბული საცხოვრებელი სახლებიდან ადმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე“
გამოცემული ამიერკუვენასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ
სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ს დადგენილების შეცვლისა და და-
მატების შესახებ.
- „ 93. „ა/ქსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების
ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკუვენასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტე-
ტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ს დადგენილების
დამატების შესახებ.
- „ 94. კომუნალური ბანკების ძირითადი კაპიტალებიდან ინდივიდუალურ მეაღნავე მუშათა და
მოსამსახურეთა დაკრედიტების წესისა და პირობების დებულების დამტკიცების შე-
სახებ.
- „ 95. ა/ქსფსრ 1929-30 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო
ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შე-
დგენის შესახებ.
- „ 96. ა/ქსფსრ-ში მშენებლობის ხარჯების ნომენკლატურისა, მათი აღრიცხვისა და აღნუსხვის
წესისა და უკიდურესი რაოდენობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.
- „ 97. სადილისათვის საწარმოთა მუშაობის სავალდებულო შეწყვეტის შესახებ.

დადგენილება № 11 პ/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის.

(სამრეწვ. და სასურ. საქონლის სამმართველო).

89. „შავი და მოთუთიავებული სახურავი რკინის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის საგასაცემო ფასების და წანაშატების დაწესების თაობაზე“ ვამოცემული ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 30-ს თარიღისა და მე-12 სეის დადგენილების შეცვლის შესახებ.

სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. მარტის 5-სა და 1929 წ. მარტის 9-ს დადგენილებათა თანახმად—ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი აღვენს:

I. ა/კსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 30-ს დადგენილების 1-ლი მუხლი შეიცვალოს და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

1. დაევალოს სახელმწიფო მრაწველობის ყველა სინდიკატუსა და საწარმოს გაჰყიდონ და გასცენ:

ა) შავი სახურავი რკინა ფრანკო-ვაგონი დანიშნულების სადგურზე და აგრეთვე ფრანკო-ბარეა დანიშნულების ნავთსადგურზე არა უმეტეს ქვემოაღნიშნული უკიდურესი ფასებისა:

საქონლის სახელწო- დება	დანიშნულების აღგილი	ფასი მანეთობით ტონნაზე		
		მეტები უსაფრთხოების დანარჩენის სამართლების მიერ და მიღებულ იქნება სამართლების მიერ და მიღებულ იქნება სამართლების მიერ და მიღებულ იქნება	მეტები უსაფრთხოების დანარჩენის სამართლების მიერ და მიღებულ იქნება სამართლების მიერ და მიღებულ იქნება	მეტები უსაფრთხოების დანარჩენის სამართლების მიერ და მიღებულ იქნება სამართლების მიერ და მიღებულ იქნება
შავი სახუ- რავი რკი- ნა მე-3 ხა- რისხისა 4,5—5 კი- ლოგრამ.	<p>საქართველოს სსრ-ში:</p> <p>ა) ტფილისისათვის 216 198 206</p> <p>ბ) დანარჩენი პუნქტებისათვის . 216 199 206</p> <p>აზერბაიჯანის სსრ-ში 212 195 202</p> <p>სომხეთის სსრ-ში:</p> <p>ა) ერევნისათვის 217 200 207</p> <p>ბ) დანარჩენი პუნქტებისათვის . 217 199 207</p> <p>აჭარისტანის ავტ. სსრ-ში 217 200 207</p> <p>ნახიჩევანის სსრ ში 218 201 208</p>			

ბ) მოთუთიავებული სახურავი რკინა მე-2 ხარისხ., 4 კილოგრამ.—ტონნაზე არა მეტებს 351 მან. მთლაო კავშირში ფრანკო ვაგონი დანიშნულების სადგურზე ან ფრანკო-ბარეა დანიშნულების ნავთსაყუდზე.

შენიშვნა. ამა დადგენილების 1-ლ მუხლში აღნიშნული ფასები შეხება სრულად დატვირთულ ვაგონებს, ე. ი. 16,5 ტონნიანს; ხოლო უკეთუ გამოშერილ იქნება 8-დან 16 ტონნამდე, შავი სახურავი რკინის ფასი გადიდება 3 მანეთით ტონნაზე, მოთუთავებული რკინის ფასი-კი დაწესდება 370 მან. რაოდენობით ტონნაზე; უკეთუ გამოშერილ იქნება დაწყებული 4 ტონნადან, ხოლო 8 ტონნაზე ნაკლები, შავი სახურავი რკინის ფასი გადიდება 10 მანეთით ტონნაზე, ხოლო მოთუთავებული რკინის ფასი დაწესდება 379 მან. რაოდენობით ტონნაზე.

2. ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1928 წ. ივნისის 30-ს თარიღისა და მე-12 №-ის დადგენილების მე-VIII ქ-ს დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

შენიშვნა. აღნიშნულ მაქსიმალურ უკიდურეს წანამატებს დაერთვის რკინის გზის სადგურიდან გაყიდვის ოდგილამდე საქონლის მიტანის საშუალო ღირებულება.

3. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანარო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანაბმად, როგორც შინავაჭრობის წესების დარღვევისათვის.

4. ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანარო რესპუბლიკაში თვალყური უნდა იდენტოს ამა დადგენილების ზედმიწევნით შესრულებას.

ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო

კომისარი ბეგზადიანი.

ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის

კოლეგიის წევრი მელიქი.

სადმინისტრაციო-საორგანიზაციო

სამმართველოს უფროსი ეგიავევი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 122 №-ში 1929 წ. ივნისის 1-ს.

დადგენილება № 12 ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატისა.

90. სელის ზეთისა და სელის მოხარული ზეთის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობითი ვაჭრობისათვის წანამატების დაწესების შესახებ.

„ა/ქსფსრ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიატის დროებითი დებულების შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1924 წ. ივნისის 26-ს დადგენილების მე-3 მუხლის „გ“ პუნქტისა და „სე-

ლის ზეთისა და სელის მოხარშული ზეთის საგასაცემო ფასების დაწესების „შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927 წ. ივლისის 25—აგვისტოს 1-ის თარიღისა და 993/114 №-ის ბრძანების (გამოქვეყნებულია „ტორგ.-პრომ. გაზ.“-ის 175 №-ში და „ექონომიჩ. ჟიზნ.“-ის 175 №-ში 1927 წ. აგვისტოს 4-ს, უზრნალ „სოვეტსკ. ტორგოვლ.“-ს 1927 წ. აგვისტოს 10-ს თარიღისა და 46 №-ის დამატებაში, მუხ. 8)-მე-4 წ-ის ონახმად, ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატი ადგენს:

I. დაწესებული იქნეს შემდეგი ნორმები, რაც განსაზღვრავს მოხარშული ზეთის საბითუმო, ნახევარ-საბითუმო და ცალობით გაყიდვას:

ცალობით	50 კილოგრამდე
ნახევარ-საბითუმო	1 ტონნამდე.
საბითუმო	1 ტონამდე და მეტი.

II. დაწესებული იქნეს შემდეგი წანამატები მრეწველობის საგასაცემო ფასებზე, თანახმად სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და სსრკ-ის ვაჭრობის სახალხო კომისარიატის 1927-წ. ივლისის 25—აგვისტოს 1-ის ბრძანებისა, მოხარშული ზეთის სახელმწიფო და კოოპერატიულ მოვაჭრე ორგანიზაციებისათვის მისაყიდად:

1. სატრანზიტო გაყიდვისათვის 5 პროც.
2. საწყობში ბითუმად გაყიდვისათვის 15 პროც.
3. საწყობში ნახევარ-საბითუმო გაყიდვისათვის 16 პროც.
4. საწყობში ცალობითი გაყიდვისათვის 20 პროც.

III. ნებადართულია მოხარშული ზეთის ნასყიდობის ფასში მოთავსებულ იქნეს, მრეწველობის საგასაცემო ფასისა და მე-II მუხლში აღნიშნული წანამატების გარდა, მხოლოდ სარკინისგზო და წყალსავალი გზის ფრახტი და რკინის გზის სადგურიდან თუ ნავთსაყურიდან მოვაჭრე ორგანიზაციის საწყობამდე ჭაპანზიდვის გზით მიტანის ღირებულება.

IV. ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო კომისარიატის რწმუნებულმა ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალ სათანადო რესპუბლიკური თვალყური უნდა ადევნოს ამადადგენილების ზედმიწევნით შესრულებას.

V. ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი სათანადო რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, როგორც შინა-ვაჭრობის წესების დარღვევისათვის.

ა/ქსფსრ ვაჭრობის სახალხო
კომისარი ბუკრევი.

ვაჭრობის სახალხო კომისარიატის
კოლეგიის წევრი მელიქი.

• სააღმინისტრაციო-საორგანიზაციო
სამართველოს უფროსის მაგიერ კაჩუხაშვილი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტრკა“-ს 122 №-ში 1929 წ. ივნისის 1-ს.

დაღგენილება აპირაციასის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

91. ა/კსფსრ 1929-30 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედეგნისა და მსვლელობის წესის და ვადების შესახებ.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს ა/კსფსრ 1929-30 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედეგნა და სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენა განსაზღვრულ ვადაზე — სექტემბრის 1-ოების — და რათა ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 18-ს დადგენილებით დაწესებული ვადები ზედმიშვენით განისაზღვროს, ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან შეთანხმებით, აცნობებს, არა უგვიანეს 1929 წ. ივნისის 20-სა, ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალ რესპუბლიკებს და საერთო-ფედერატიულ უწყებებს თავის განზრააზულებათ ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შესაძლებელი ზრდის საერთო პერსპექტივების შესახებ.

2. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯთაღრიცხო-საბიუჯეტო თათბირში გადაუწყვეტლად დარჩენილი საკითხები საერთო-ფედერატიულ ბიუჯეტში შემავალ საუწყებო ხარჯთაღრიცხვების თაობაზე — გადაუწყდება ა/კსფსრ ფინანსთა და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარებისა და დაინტერესებული უწყების ხელმძღვანელის შეთანხმებით. უკეთუ შეთანხმება მიღწეულ ვერ იქნა, სადაც საკითხებს გადასწყვეტს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო — ბიუჯეტის განხილვის წესისამებრ.

3. ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატთან არსებულ სახარჯაღრიცხეს-საბიუჯეტო თათბირში შეთანხმებული, ა/კსფსრ უწყებათა ხარჯთაღრიცხვებით ნავარაუდევი ასიგნები მოთავსებულ იქნება ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული თათბირის მიერ მიღებული რაოდენობით, ხოლო შეუთანხმებელი ასიგნები — იმ რაოდენობით, რაც მიღებულ იქნება ხმის უმეტესობით — მე-2 მუხლში აღნიშნული წესისამებრ შეუთანხმებლობის გადაწყვეტის დროს.

4. სახალხო მეურნეობის დაფინანსების ასიგნებს აღრიცხავენ ა/კსფსრ-ისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები, — სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან, ა/კსფსრ სათანადო საერთო-ფედერატიულ უწყებებთან და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სათანადო უწყებებთან ერთად, — მხოლოდ საერთო რაოდენობით სახალხო მეურნეობის თვითეული დარგისათვის — ბიუჯეტის საგნობრივ ჯუმლთან შეფარდებით მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ელექტროფიკაციისა და სატრანსპორტო მშენებლობისათვის და სხვ.

5. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო იხილავს და აღასტურებს: ა) ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავალს და ცალკე — საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის შემოსავალს — სათანადო საბალანსო ჯუმლების ყველა სახარჯთაღრიც-

ხეო დანაყოფების მიხედვით; ბ) საერთო-ფედერატიული ბიუჯეტის ხარჯებს და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯებს.— საბალანსო ჯუმლის მიხედვით და დაყოფით: სახალხო კომისარიატების ნაწილისა—ცალკე უწყებათა ხარჯთაღრიცხვების საჯამო თანხებზე, ფონდების ნაწილისა—ფონდების ცალკე სახეებზე და სახალხო მეურნეობის დაფინანსების ასიგნების ნაწილისა—სახალხო მეურნეობის თვითოული დარგისათვის გადადებული ასიგნების საჯამო თანხებზე—ბიუჯეტის საგნობრივ ჯუმლთან შეფარდებით მრეწველობისა, სოფლის მეურნეობისა, ელექტროფუკიაციისა და სატრანსპორტო მშენებლობისათვის და სხვ., აგრეთვე ღოტაციების რაოდენობას საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტით, გ) ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის საბალანსო ჯუმლს, რომელშიაც მოათავსებს საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისა და ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტების საბალანსო ჯუმლებს.

6. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების 1929 წ. ბიუჯეტები და საერთო-ფედერატიული უწყებების ხარჯთაღრიცხვები შედგენილ უნდა იქნეს 1-ლ მუხლში აღნიშნულ საგეგმო განხრახულებათა მხედველობაში მიღებით.

7. ა/კსფსრ 1929-30 წ. ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს განსახილველად და დასაღასტურებლად მოკლე განმარტებითი წერილით და ბიუჯეტის განხილვისათვის აუცილებლად საჭირო დანართებით.

8. ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტები წარდგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში არა უგვიანეს 1929 წ. აგვისტოს 1-სა.

ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა უნდა წარუდგინოს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს, ხოლო ასლი—ა/კსფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიას—დასკვნისათვის—არა უგვიანეს 1929 წ. აგვისტოს 15-სა.

9. ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებული ა/კსფსრ 1929-30 წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტი შეიტანება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის საბიუჯეტო კომისიაში და გაიგზავნება სსრკ ის სახალხო კომისართა საბჭოში დაბეჭდილი, ყველა დადგენილი განმარტებითი წერილით და დანართით, არა უგვიანეს ორი კვირისა დაღასტურების დღიდან, და ამავე დროს ეცნობება ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობებს.

10. უკეთუ საჭიროა საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით ამა თუ იმ დაწესებულებისა და ცალკე ხარჯების დაფინანსების გადაცემა ერთი უწყების ხარჯთაღრიცხვიდან სხვა უწყების ხარჯთაღრიცხვაში და ერთი ბიუჯეტიდან მეორეში,—ეს გადაცემა დამთავრებულ უნდა იქნეს არა უგვიანეს 1929 წ. ივნისის 5-სა.

11. შტატები და სათანამდებობო ჯამაგირები არ უნდა აქნეს ზოგადად გაღასინჯული. განიხილება მხოლოდ ახლად დაარსებული დაწესებულების შტატები და სათანამდებობო ჯამაგირები, აგრეთვე 1928-29 წლისთვის დადგენი-



ლი ის შტატები და სათანამდებობო ჯამავირები, რომელთა შეცვლაც საჭიროდ იქნება ცნობილი; ამასთანავე, ყველა სათანადო მუშაობა დამთავრებულ უნდა იქნება არა უგვიანეს 1929 წ. ივნისის 20-სა.

12. იმ ხარჯების დასაბუთება, რაც ხარჯთაღრიცხვაში წლითი-წლობით გამეორდება ხოლმე ერთიდამიავე თანხების რაოდებობით, საჭირო არ არის. დაწვრილებითი დასაბუთება შეიტანება მხოლოდ იმ ცვლილებათა შესახებ, რაც 1929-30 წ. ხარჯთაღრიცხვებში მოხდება.

13. სამეურნეო და საოპერაციო გეგმები შედგენილ უნდა იქნეს ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დამტკიცებული სახალხო მეურნეობის საკონტროლო ციფრების საფუძველზე და შემდგომ ზედმინიშვნით დამუშავებული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ დადასტურებული სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის თანახმად.

14. წინადადება ეძლევა ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების მთავრობათ — სასწრაფო წესით გამოსცენ დადგენილებანი, რომლითაც გათვალისწინებულ იქნება გამარტივებული წესი ამ რესპუბლიკების ბიუჯეტებში შემავალი საუწყებო ხარჯთაღრიცხვებისა და ამ ხარჯთაღრიცხვების გამო აღძრულ შეუთანხმებლობათა განხილვისა და აგრეთვე წესი რესპუბლიკანური სამეურნეო და საოპერაციო გეგმების შედგენისა და დამტკიცებისა, და მიიღონ ყველა საჭირო ღონისძიება, რაც უზრუნველყოფს მათი ბიუჯეტების ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოში წარდგენას არა უგვიანეს 1929 წ. აგვისტოს 1-სა.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარის მაგიერ ვ. სტურუა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდიგარი ს. იაკუბოვი.

1929 წ. ივნისის 1. ტფილისი — სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია კოსტოკა“-ს 125-№-ში 1929 წ. ივნისის 5-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

92. „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან აღმინისტრატიული წესით გამოსახლების თაობაზე“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928წ. დეკემბრის 17-ს დადგენილების შეცვლისა და დამატების შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღგენებ:

1. შეიცვალოს 1-ლი მუხლი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. დეკემბრის 17-ს დადგენილებისა „სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული საცხოვრებელი სახლებიდან აღმინისტრატიული წესით გამოსახლების შესახებ“ (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. 22 №-რი, მუხ. 255) და მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით.

„მუხ. 1. აღმისისტრატიული წესით საღომებიდან მოქალაქეთა გამოსახლების თაობაზე ა/კსფსრ ტერიტორიაზე მომქმედ კანონდებულებათა დამატებად—სამხედრო და საზღვაო საქმეთა კომისარიატის ორგანოებს მიეცეთ უფლება—სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის ორგანოებისათვის მიკუთვნებული სახლებიდან მოქალაქეთა აღმინისტრატიული წესით გამოსახლებისა იმ აუცილებელი პირობით, რომ გამოსახლებულ პირს, ვინც მშრომელ მოსახლეობას ეკუთვნის, მიეცეს ბინა, რომლის საცხოვრებელი სივრცე არ უნდა იყოს იმ აღვილას არსებულ ფაქტიურ ნორმაზე ნაკლები.

შენიშვნა. გამოსასახლებელ პირს მშრომელთა კატეგორიისას, ბინის გარდა, უნდა მიეცეს სატრანსპორტო საშუალებაც; ამასთანავე, სატრანსპორტო საშუალების მიცემა შეადგენს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარიატის მოვალეობას“.

2. წინა მუხლში აღნიშნულ დადგენილებას დაემატოს მე-4 მუხლი შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 4. წინადაღება მიეცეს ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბ-
ლიკების მთავრობათ, ერთი თვის ვაღაზე, თავიანთი კანონმდებლობა შეუთან-
ხმონ ამა დადგენილებას.“

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-
მჯდომარის მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვი.

1929 წ. მარტის 4. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 127 №-ში 1929 წ. ივნისის 7-ს.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს საბჭოსი

93. „ა/ქსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ის დადგენილების დამატების შესახებ.

სსრკ-ის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. იანვრის 23 დადგენილების თანახმად (სსრკ კან. კრ. 1929 წ. მე-6 №-რი, მუხ. 59).—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო აღნენ:

1. „ა/ქსფსრ ქალაქებში და დასახლებულ ქალაქ-ადგილებში საცხოვრებელი სადგომების ფასის შესახებ“ გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ოქტომბრის 1-ს დადგენილების მე-13 მუხლს (ა/ქსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-19 №-რი, მუხ. 208) დაემატოს შენიშვნა შემდეგი შინაარსისა:

„**შენიშვნა.** მუშათა და გლეხთა წითელი არმიის საშუალო, უფროსი და უმღლესი საკადრო შედგენილობის ის სამხედრო მსახური და აგრეთვე ვაღაზევითი სამსახურის სამორიგეო და უმცროსი სამეთაურო შედგენილობის ის მსახური, რომელიც იმ სახლში სცხოვრობს, სადაც ბინის ქირა ინდევინება ადგილობრივი საბჭოს მიერ დადგენილი განაცვეთით, გაეთანა-

ბრება ბინის ქირის მიმართ მუშა-მოსამსახურების; ამასთანავე, ეს ბინის ქირა გამოიანგარიშება აღნიშნული სამხედრო მსახურის ძირითადი ჯამა-გირის მიხედვით“

2. წინადადება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებს, ერთი თვის ვადაზე, თავიანთი კა-ნონმდებლობა შეუთანხმონ ამა დადგენილების 1-ლ მუხლს.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის
მოადგილე დ. ჰუსეინოვი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი ა. შავერდოვა.

1929 წ. მარტის 4. ტფილისი-სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 128 №-ში 1929 წ. ივნისის 8-ს.

დადგენილება № 135 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

94. კომუნალური ბანკების ძირითადი კაპიტალებიდან ინდივიდუ-
ალურ მეაღნაგე მუშათა და მოსამსახურეთა დაქრედიტების წე-
სისა და პირობების დებულების დამტკიცების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი დებულება კომუნალური ბკნკების ძირითადი
კაპიტალებიდან ინდივიდუალურ მეაღნაგე მუშათა და მოსამსახურეთა დაქრედი-
ტების წესისა და პირობების შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. მაისის 30. ტფილისი-სასახლე.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

კომუნალური ბანკების ძირითადი კაპიტალებიდან ინდივიდუალურ მეაღნაგე მუშათა და მოსამსახურეთა დაკრედიტების წესისა და პირობების შესახებ.

1. გრძელვადიანი სესხი ინდივიდუალურ მეაღნაგეთ მუშათა და მოსამსახურეთაგან მიეცემათ, ვადით არა უმეტეს 10 წლისა, კომუნალური ბანკების მიერ თავიანთი ძირითადი კაპიტალებიდან ბინების ინდივიდუალური მშენებლობისათვის მეაღნაგეთა საკიროებისათვის.

2. სესხს კომუნალური ბანკები გასცემენ ხელშეკრულების თანახმად, რასაც ბანკები დასდებენ თვითეულ მეაღნაგესთან ცალკე შემდეგ ძირითად პირობებზე:

ა) მეაღნაგე ვალდებულია მოათავს ას მშენებლობაში თავისი საკუთარი სახსარი არანაკლებ ასაგები შენობის ღირებულების 30%-სა;

ბ) სესხის დაფარვის წესსა და ვადებს განსაზღვრას ბანკი თვითეული მეაღნაგისათვის ცალკე, მისი მატერიალური მდგომარეობის მიხედვით;

გ) კომუნალური ბანკი იქრედიტებს ინდივიდუალურ მშენებლობას ქალაქად, მუშებით დასახლებულ ადგილებში და სხვა, ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში; მშენებლობა განხორციელებულ უნდა იქნეს იმ მინიმალური ტეხნიკური და სანიტარული ნორმების დაცვით, რასაც აწესებენ სათანადო ორგანოები;

დ) მეაღნაგე ვალდებულია სესხად აღებული მთელი ვალის სრულად დაფარვამდე შეინახოს შენობა წესიერად, გაუკეთოს თავის დროზე მიმღინარე და კაპიტალური რემონტი და მიიღოს ყოველი ღონისძიება შენობის მოვლისა და დაცვისათვის;

ე) მეაღნაგე მოვალეა დააზღვროს თავისი ხარჯით ამა დებულების 1-ლ მუხლში აღნიშნული შენობა სამშენებლო მუშაობის დაწყების მომენტიდან, ხოლო მწვარობადი საშენი მასალა—ამ მასალის შეძენის მიმერტიდან—მთელი საღასაზღვეო შეფასების რაოდენობით; ყველა სამშენებლო სამუშაოს დამთავრების შემდეგ შენაბა დაზღვებულ უნდა იქნეს მეაღნაგის ხარჯით მთელი საღასაზღვეო შეფასების რაოდენობით;

ვ) მეაღნაგისათვის მიცემული სესხი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს აღნგის გირავნობით.

3. თხოვნაში სესხის მიცემის შესახებ ჰელმიწევნით აღნიშნული უნდა იყოს:

ა) სესხის დანიშნულება, საჭიროების დასაბუთება და რაოდენობა;

ბ) საკუთარი სახსარის რაოდენობა, რასაც მეაღნაგე მოათავსებს ბინის მშენებლობაში;

გ) მშენებლობის დამთავრების ვადა და მშენებლობის საერთო ღირებულების რაოდენობა;

დ) მეაღნაგისათვის სასურველი ვადა სესხის მიცემისა და მეაღნაგისა და მისი ოჯახის წევრების მიერ მინაღები ჯამაგირის რაოდენობა, რაც უზრუნველყოფს სესხისა და მასზე დარიცხული პროცენტების ვადაზე დაფარვის შესძლებლობას.

4. თხოვნას სესხის მიცემის შესახებ უნდა დაერთვას შემდეგი მასალა:

ა) აღნაგობის უფლების ხელშეკრულება, შენობის გეგმა--ასაშენებლად განზრაბული სახლის კუბატურისა და საცხოვრებელი სივრცის აღნიშვნით;

ბ) ანგარიშგასწორების წიგნაკი მუშაობის ადგილისა.

5. კომუნალური ბანკი ვალდებულია მისცეს ინდივიდუალურ მეაღნაგეთ ამადებულებაში აღნიშნული სესხი არა უმეტეს, ვიდრე სამი პროცენტით წლიურად.

6. ოხოვნისა და მასთან დართული მასალის განხილვის შემდეგ კომუნალური ბანკის გამგეობა გადასწყვეტს სესხის გაცემის შესაძლებლობის საკითხს და, უკეთუ სესხის მიცემა შესაძლებლად იქნება ცნობილი, განსაზღვრავს სესხისა და ამ სესხისათვის გადასახდევნებელი პროცენტის რაოდენობას, სესხის ვადას და გაცემისა და დაფარვის პირობებს. თვის გადაწყვეტილებას კომუნალური ბანკი აცნობებს მეაღნაგეს.

7. სესხის გაფორმებისათვის მეაღნაგე ხელს მოაწერს კომუნალურ ბანკთან—ბანკისავე მიერ დადგენილი ფორმით და ამა დებულების მე-2 მუხ. აღნიშნული პირობების დაცვით—დადებულ ხელშეკრულებას.

8. გადაწყვეტილ სესხს კომუნალური ბანკი გასცემს სესხის იელშეკრულებით დადგენილ ვადაზე და რაოდენობით.

9. რათა კომუნალური ბანკი დარწმუნდეს, რომ მეაღნაგემ სათანადოდ გამოიყენა სესხი, მას უფლება აქვს:

ა) მოსთხოვოს მეაღნაგეს ცნობები, რაც დაადასტურებს, რომ მან შეასრულა ამი დებულების მე-2 მუხ. „ა“ პუნ., აგრეთვე ცნობების წარდგენა კომუნალური ბანკის მიერ გაცემული სესხის სახსარიდან მშენებლობაზე გაწეული ხარჯების შესახებ, ხოლო, თუ საჭირო იქნება, მოსთხოვოს აგრეთვე ხარჯების გამართებელი დოკუმენტების წარდგენა;

ბ) მოახდინოს ხოლმე როგორც შენების დროს, ისე დამთავრებისას მშენებლობის გასინჯვა და გამოკვლევა;

10. უკეთუ მეაღნაგე გამოიყენებს სესხს მოლად ან ნაწილობრივ არაპირდაპირი დანიშნულებისიმებრ, კომუნალურ ბანკს უფლება აქვს მოსთხოვოს მას ვადამდე სესხის დაფარვა, ამ სესხის პროცენტის გადახდით გაცემის მომენტი—დან—ნორმალური საბანკო პროცენტის რაოდენობით;

11. კომუნალურ ბანკს უფლება აქვს მოითხოვოს ვადამდე სესხის დაფარვა,—თანაც მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროცენტის გადახდით,—აგრეთვე შემდეგ შემთხვევაში:

ა) უკეთუ მეაღნაგე ვადაზე არ შეიტანს კომუნალურ ბანკში მორიგ გადასახადს და ეს ვადის გადაცილება ორ თვეზე მეტხანს გასტანს;

ბ) უკეთუ მეაღნაგე სხვა რითიმე დაარღვევს მასთან დადებულ ხელშეკრულებას.

12. სხვა ისეთ შემთხვევაში, რაც ამა დებულებით გათვალისწინებული არ არის, მეაღნაგე ემორჩილება კომუნალური ბანკის წესდებას.

დადგენილება № 136 ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი.

95. ა/კსფსრ 1929-30 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის „შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 7-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 147) მოქმედება გავრცელებულ იქნეს 1929-30 საბიუჯეტო წელზე, იმ ცვლილებებით, რაც დადგენილია შემდეგ მუხლებში:

1. „ა/კსფსრ 1928-29 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შედგენის „შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1928 წ. ივნისის 7-ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1928 წ. მე-14 №-რი, მუხ. 147) მოქმედება გავრცელებულ იქნეს 1929-30 საბიუჯეტო წელზე, იმ ცვლილებებით, რაც დადგენილია შემდეგ მუხლებში:
2. ზემოაღნიშნული დადგენილების 1-ლი მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 1. 1929-30 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებს შეადგენენ ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების უწყებანი და დამოუკიდებელი ხარჯთაღრიცხვების მქონე დაწესებულებანი, რომელიც მოხსენებული არიან ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების საბიუჯეტო უფლებათა შესახებ მომქმედი კანონების სათანადო მუხლებში.“

3. ზემოაღნიშნული დადგენილებიდან ამოიშალოს მე-2 და 3 მუხლები და სათანადო შეიცვალოს შემდგომი მუხლების რიგობითი ნუმერაცია.

4. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-4 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 4. სახალხო შეურნეობის დაფინანსების დანიშნულებანი, რაც გატარებულ უნდა იქნეს სათანადო ბიუჯეტებით, აღირიცხებიან ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ, კუთნილებისამებრ,—ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებთან და სათანადო უწყებებთან ერთად,—საერთო რაოდენობით სახალხო მეურნეობის თვითეული დარგისათვის ბიუჯეტის საგნობრივ ჯუმლთან შეფარდებით.

უკეთ ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატებს შორის, ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების სახელმწიფო საგეგმო კომისიებსა და სათანადო უწყებებს შირის მოხდა შეუთანხმებლობა, სათანადო დანიშნულებანი ა/კსფსრ ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში შეიტანებიან ა/კსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ ნავარაუდევი თანხების რაოდენობით“.

5. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-5 მუხ. მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 5. სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის დადასტურების შემდეგ, ა/კსფსრ-ისა და მის შედეგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ფინანსთა სახალხო კომისარიატები (კუთვნილებისამებრ), სათანადო უწყებებთან და დაწყებულებებთან ერთად, მოახდენენ, ამ უკანასკნელთა საოპერაციო გეგმების თანახმად, სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების დაფინანსების დანიშნულებათა თანხების განაწილებას საგასავლო კლასიფიკაციის სახარჯთაღრიცხვო დანაყოფებზე. ეს განაწილება მოხდება იმ ვაღაზე, რასაც დააწესებენ: საერთო-ფედერატიული ბიუჯეტისათვის—ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭო, ხოლო ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებისათვის—ამ რესპუბლიკების სახალხო კომისართა საბჭოები.“

6. ზემოაღნიშნული დადგენილების მე-7 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 7. 1929-30 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო შემოსავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტები შედგენილ უნდა იქნეს იმავე კლასიფიკაციის მიხედვით, რომლითაც აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები შედგენილ იქნა 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის, ხოლო იმ ცვლილებებითურთ, რაც შეიძლება შეიტანონ სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა—არა უვერინეს 1929 წ. ივნისის 1-სა.

1929-30 საბიუჯეტო წლის სახელმწიფო ხარჯების საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტები შედგენილ უნდა იქნეს იმავე კლასიფიკაციის მიხედვით, რომლითაც აღნიშნული ხარჯთაღრიცხვები შედგენილ იქნა 1928-29 საბიუჯეტო წლისთვის, ხოლო იმ ცვლილებებითურთ, რაც შეიძლება შეიტანონ სსრკ-ის ფინანსთა სახალხო კომისარიატმა და ა/კსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა—არა უვერინეს 1929 წ. ივნისის 5-სა—უწყებათა სტრუქტურისა და ფუნქციების ცვლილებების გამო.“

კლასიფიკაციის ეს ცვლილებანი მოხდება „სსრკ-ის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტისათვის სახელმწიფო ხარჯების საერთო კლასიფიკაციის დამტკიცების შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის სახალხო კომისართა საბჭოს 1927 წ. ივლის 12-ს დადგენილების მე-4 მუხლის წესისამებრ.“

7. „ა/კსფსრ 1929-30 საბიუჯეტო წლის ერთიანი სახელმწიფო ბიუჯეტის შედგენისა, განხილვისა და მსვლელობის წესის შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. აპრილის 18 ს დადგენილების (ა/კსფსრ კან. კრ. 1929 წ. მე 8 №-რი, მუხ. 80) IV—VIII მუხლების ზედმიწევნით დასამუშავებლად—ზემოაღნიშნული დადგენილების მე-19 მუხლი მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 19. საერთო ფედერატიულ ბიუჯეტში გასატარებელი სახელმწიფო შემოსავალ—გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პრეტებს და განცხადებებს საერთო-ფედერატიული ბიუჯეტების განსაკუთრებული ფონდებიდან და ფონდის ხასიათის მქონე სხვა დანიშნულებიდან ასიგნების გადადების შესახებ—ა/კსფსრ

სათანადო ცენტრალური დაწესებულებები, გაერთიანებული სახალხო კომისარიატები და დაინტერესებული დაწესებულებები და ორგანიზაციები წარადგენება/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატში არა უგვიანეს 1929 წ. ივლისის 5-სა.

თვითეული საერთო-ფედერატიული უწყებისა და დაწესებულების მიერ შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვის ცალკეულად წარდგენის საზედმიწევნო ვადას, ზემოაღნიშნული ვადის ფარგლებში, განსაზღვრავს ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატი.

საერთო-ფედერატიული ბიუჯეტით გასატარებელ სახალხო მეურნეობის დაფინანსების დანიშნულებათა აღრიცხვა უნდა მოახდინოს ა/ქსფსრ ფინანსთა სახალხო კომისარიატმა 1929 წ. აგვისტოს 1-თვის.

ა/ქსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების ბიუჯეტებში გასატარებელი სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის საფინანსო ხარჯთაღრიცხვების პროექტებისა და ამ ბიუჯეტების განსაკუთრებული ფონდებიდან და ფონდის ხასიათის მქონე სხვა დანიშნულებებიდან ასიგურების შესახები განცხადების წარდგენის ვადები, აგრეთვე ამ რესპუბლიკების ბიუჯეტებში გასატარებელ სახალხო მეურნეობის დაფინანსების დანიშნულებათა ფინანსთა სახალხო კომისარიატების მიერ აღრიცხვის ვადები განისაზღვრება აღნიშნული რესპუბლიკების კანონმდებლობის წესისამებრ.

8. იმ საკალენდრო თარიღების ნაცვლად, რაც განსაზღვრულია ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს ზემოაღნიშნულ (ამა დადგენ. 1-ლი მუხ.), 1928 წ. ივნისის 7-ის, დადგენილებაში,—შეფარდებულ იქნეს სათანადოდ ერთი წლით წინ გადაწეული საკალენდრო თარიღები.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს

თავმჯდომარის მოადგილე ა. ბეგზადიანი.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა

საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. მაისის 30 ტფილისი—სასახლე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 130 №-ში 1929 წ. ივნისის 11-ს.

დადგენილება № 137 ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭოსი

96. ა/ქსფსრ-ში მშენებლობის ხარჯების ნომენკლატურისა, მათი აღრიცხვისა და აღნუსხვის წესისა და უკიდურესი რაოდენობის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ.

ა/ქსფსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

დამტკიცებულ იქნეს შემდეგი ინსტრუქცია—ა/ქსფსრ-ში მშენებლობის ხარ-

ჯების ნომერი კულტურისა, მათი აღრიცხვისა და აღნუსხვის წესისა და უკიდურესი რაოდენობის შესახებ.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს თავმჯდომარე შ. ელიაგა.

ა/კსფსრ სახალხო კომისართა
საბჭოს საქმეთა მმართველი ნ. ბახტაძე.

1929 წ. ივნისის 11. ტფილისი-სასახლე.

ი ნ ს ტ რ უ ს ი ა

ა/კსფსრ-ში მშენებლობის ხარჯების ნომერი კულტურისა, მათი აღრიცხვისა და აღნუსხვისა და უკიდურესი რაოდენობის შესახებ.

§ 1. ა/კსფსრ-ისა და მასში შემავალი რესპუბლიკების ყველა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და კომპერატიული დაწესებულება და საწმრმო, აგრეთვე სახელმწიფო ოუ კომპერატიული კაპიტალის განსაკუთრებითი ან მეტობითი მონაწილეობით მომქმედი სააქციო საზოგადოება (საპაიო ამხანაგობა) მოვალეა, საწარმოო ან სხვა ხარჯთაღრიცხვების კალეულაციის შედგენისა და ხარჯების წარმოების დროს, იხელმძღვანელოს ქვემონაჩენი ნომერი კულტურა და უკიდურესი რაოდენობანი, ხოლო ხარჯების აღნუსხვისა და ანგარიშის შედგენის დროს ქვემოაღნიშნული ნომერი კულტურა მშენებლობის ხარჯებისა.

* **შენიშვნა.** დაინტერესებულმა უწყებამ, დაწესებულებამ, ორგანიზაციამ და საწარმომ წინადადება ამა ინსტრუქციაში შემდგომი წლებისთვის მისთვის სასურველი ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ უნდა წარადგინოს, სათანადო დასაბუთებით, ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტში (რესპუბლიკანურმა ორგანიზაციამ—რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მეშვეობით) იმ ანგარიშით, რომ აღნიშნული წინადადებების განხილვა დაწყებულ იქნეს ყოველი წლის ივნისის 1-ლს.

§ 2. მშენებლობის ხარჯები, მათი აღრიცხვის ან განიჭილების მეთოდის მიხედვით, განიყოფებიან პირდაპირ და არა პირდაპირ (ზეღნადებ) ხარჯებზე.

§ 3. პირდაპირ ხარჯად ითვლება:

ა) მომზადებელი სამუშაოები და სამუშაოების ტეხნიკური გაფორმება (§ 7);
ბ) მუშათა ძირითადი სამუშაო ხელფასი (§ 5);

გ) მასალის ძირითადი ღირებულება (§ 6); ამ რიცხვში აგრეთვე

დ) ტრანსპორტის ღირებულება შენობის აღვილამდე (§ 6);

ე) სამშენებლო სამუშაოებზე მექანიკური ინვენტარის შენახვა და ამორტიზაცია (§ 8);

ვ) ნაგებობათა იმ ცალკე ნაწილების ღირებულება, რასაც ასრულებს არა ის ორგანიზაცია, რომელიც განახორციელებს ძირითად სამშენებლო სამუშაოებს (§ 9).

§ 4. არაპირდაპირ (ზეღნადებ) ხარჯად ითვლება:

- სამუშაო ხელფასის დამატებითი დანარიცხი (§ 12);
- საშენი მასალის დამატებითი დანარიცხი (§ 13);
- დამხმარე სამუშაოები, გამართულობა და კუთხნილება (§ 14);
- სააღმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები (§ 15);
- სხვა. ხარჯი (§ 16).

I. პირდაპირი ხარჯები.

§ 5. ძირითად სამუშაო ხელფასს მიეკუთხნება: მუშის გასამრჯელო ნორმა-ლური მუშაობისათვის, იმისდამიუხედავად, თუ რა ფორმით მოხდება სასყიდლის გაცემა (თვიური, დღიური, ნაჭრობით და სხვ.); გასამრჯელო ზედმეტი მუშაობისათვის, აგრეთვე უქმე-დღით და ღამით მუშაობისათვის; გასამრჯელო ნორმაზე მეტი ნამუშევარისათვის და ხარჯი უქმის წინა დღეებში ნაკლულ-მუშაობისათვის.

შენიშვნა. მუშის დღიური განაკვეთის სახარჯთაღრიცხვო გამოანგარიშების დროს თვიური სატარიფო განაკვეთის $\frac{1}{24}$ რაოდენობით—უქმის წინა დღეებში ნაკლულ-მუშაობის ხარჯი ცალკე არ გამოიანგარიშება და მუშასთან დღიურად ანგარიშის გასწორების დროს თვიური სატარიფო განაკვეთის $\frac{1}{25}$ რაოდენობით—აღნიშნული ნაკლულ-მუშაობისათვის სასყიდელი არ გაიცემა.

§ 6. მასალის ძირითად ღირებულებად იგულისხმება:

ა) კალკულაციისა და საწარმოო ხარჯთაღრიცხვის შედგენის დროს—საკრიბო ფასების მიხედვით გამოანგარიშებული ღირებულება მასალისა პლიუს სატრანსპორტო ხარჯები, ე.ი. ფასი—ფრანკო-საწყობი შენების აღვილას;

ბ) ანგარიშების შედგენის დროს—ნასყიდობისა თუ დამზადების ღირებულება პლიუს სატრანსპორტო ხარჯები, ე.ი. აგრეთვე ფასი—ფრანკო-საწყობი შენების აღვილას; ამასთანავე, სატრანსპორტო ხარჯების დანაწილება ცაკეულ სხვადასხვაგარ მასალებზე სავალდებულო არ არის.

სატრანსპორტო ხარჯებს მიეკუთვნება როგორც უშუალოდ მასალების გადაზიდვის ხარჯი, ისე ხარჯები ცენტრალური და საბაზისო საწყობების შენახვისა, მასალის დაცვისა, გზაში დაკარგვისა და დაფანტვისათვის, აგრეთვე ის ხარჯი, რაც დაკავშირებულია მასალის ყიდვასთან, მიტანასთან და საწყობში ჩაბარებასთან შენების აღვილას.

შენიშვნა. შენების ტერიტორიაზე მუშაობის წარმოების პროცესში მასალის ერთი აღვილიდან მეორე აღვილას გადატანა სატრანსპორტო სამუშაოს არ ეკუთვნის, არამედ—თვით მუშაობის წარმოებას.

§ 7. მომზადებელ სამუშაოს და საბოლოო ტეხნიკური ანგარიშგების შედგენას მიეკუთვნება შემდეგი სამუშაოები:

ა) ძიებლობისა და გამოკვლევის სამუშაო, როგორც წინასწარი ჩვეულებრივი ტიპისა, ისე ეკონომიური;

ბ) საორიენტირო მოსაზრებებისა, ესკიზებისა, პროექტებისა, ხარჯთაღრიცხვებისა, გამოანგარიშებებისა და სამუშაო ნახაზების შედგენა;

გ) განმარტებითი წერილებისა, ეკონომიური გამოანგარიშებებისა და სხვ. შედგენა;

დ) კონკურსებისა და ექსპერტიზების მოწყობა, პროექტების დამტკიცება, აგრეთვე კონსულტაცია პროექტების შემუშავებისა და დამტკიცების დროს;

ე) ტეხნიკური ანგარიშების შედგენა.

§ 8. მშენებლობის მექანიკური ინვენტარის შენახვისა და ამორტიზაციის ხარჯებს მიეკუთვნება: მექანიკური ინვენტარისა და ხელსაწყოთა შენახვისა, ექსპლორაციისა, იჯავისა, აძორტიზაციისა და მიმღინარე რემონტის ხარჯები, აგრეთვე მუშაობის აღიილას მექანიკური ინვენტარის გადაზიდვისა, დაღგმისა და ტეხნიკური და მუშაოთა პერსონალით მომსახურეობის გაწევის ხარჯები. ამა პარაგრაფის ხარჯები ხარჯთალრიცხვაში შეიტანება ცალკე გამოანგარიშებით ნამდვილი მოთხოვნილებისამებრ.

უკითუ ხარჯთალრიცხვაში მუშა-ძალა ოლრიცხულია ხელით მუშაობის ნორმების მიხედვით, ამა პარაგრაფის ხარჯები შეტინილ არ უნდა იქნეს ხარჯთალრიცხვაში.

შენიშვნა. მექანიკური ინვენტარისა და ხელსაწყოს შეძენის ხარჯები სამშენებლო ხარჯთალრიცხვას არ ეხება და შეიტანება ქონებისა და ინვენტარის შეძენის ხარჯთალრიცხვაში.

§ 9. ნაგებობათა ცალკე ნაწილებს, რაც შე-3 წ.-ის „ვ“ პუნქტშია აღნიშული, უნა მიეკუთვნოს ისეთი საკომპლექსო სამუშაოები, რომლებიც, მათი სპეციალური დანიშნულებისა თუ გამართულობის გამო, შესრულებულ უნდა იქნეს სათანადო სპეციალურ ორგანიზაციებთან განსაკუთრებული შეთანხმებით (როგორიც არის, მაგალითად, ცენტრალური გათბობა, ვენტილაცია, ამწევი, მარმარილობიანი და სხვაგვარი მოსახვა, სპეციალური იატაკები და სხვა სამუშაო), უკითუ მათი ღირებულება გამოანგარიშებული არ არის დეტალურ ხარჯთალრიცხვებში.

§ 10. ამა ინსტრუქციის მე-5, 6 და 9 წყ.-ში აღნიშნული ყველა ხარჯი, ხარჯთალრიცხვების შედგენის დროს, გამოიანგარიშება იმ ყესით, რაც დადგენილია სამშენებლო სამუშაოთა ხარჯთალრიცხვების შედგენისა და დამტკიცების წესებში (სსრკ კან. კრ. განკ. II, 1926 წ. 37 №-რი, მუხ. 225).

შენიშვნა. სამშენებლო სამუშაოთა აღნუსხვისა და ანგარიშების წარმოების დროს სატრანსპორტო ხარჯები იანგარიშება ცალკე.

§ 11. მე-7 წ.-ში მოხსენებული ხარჯები გამოიანგარიშება სამუშაოების საერთო ღირებულებისამებრ პროცენტობით შემდეგი ნორმების თანახმად:

ა. ჩვეულებრივი სამუშაოებისათვის — ღირებულებით 50.000 მანეთამდე (ამიანად) — არა უმეტეს 1,5 პროცენტისა, ხოლო 50.000 მანეთისა და მეტი ღირებულებისა — არა უმეტეს 0,5 პროცენტისა.

საშუალებო ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება ინტერპოლაციით.

ჩვეულებრივ სამუშაოების ჯგუფს ეკუთვნის: საბინაო მშენებლობა; ჩვეულებრივი ტიპის საზოგადოებრივი და კომუნალური შენობა და ნაგებობა, როდესაც ამოკრა, რთული არის; სამრეწველო და სავაჭრო მშენებლობის არართული ობიექტები, რაც რთულ ტეხნიკურ გამოანგარიშებას არა საჭიროებს (მექანიზი-

რებული საწყობები, მცირე ფაბრიკების კორპუსები და სხვ., მცირე ვოკზალები და სხვ.).

8. განსაკუთრებით რთული სამუშაოებისათვის — ღირებულებით 300.000 მან-დე (ამიანად) — არა უმეტეს 2 პროცენტისა, ხოლო 1.000.000 მან. და მეტი ღირებულებისა — არა უმეტეს 1 პროცენტისა. საშუალედო ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება ინტერპოლაციით.

განსაკუთრებით რთულ სამუშაოების ჯგუფს ეკუთვნის: თვალსაჩინო საზოგადოებრივი და კომუნალური შენობა და ნაგებობა სპეციალური შეკვეთით: საწყობები, ელევატორები, საფაბრიკო-საქარხნო კორპუსები დიდი მაღებით ან რთული გაწყობილობით (გაწყობილობის პროექტი გამოიანგარიშება ცალკე „**8**“ ჯგუფის მიხედვით), დიდი ვოკზალები, დიდი გაერთიანებული საბინაო მშენებლობა კოლექტიური სარგებლობისათვის და სხვ.

8. სპეციალური სამუშაოებისათვის — ღირებულებით 50.000 მანეთამდე (ამიანად) — არა უმეტეს 2 პროცენტისა, ხოლო 1.500.000 მან. და მეტი ღირებულებისა — არა უმეტეს 1,5 პროცენტისა. საშუალედო ღირებულების რაოდენობა განისაზღვრება ინტერპოლაციით.

ამ ჯგუფს ეკუთვნის: საინჟინერო ნაგებობანი, საგზაო, ჰიდროტექნიკური და სამელიორაციო სამუშაოები, შენობებისა და დასახლებული ადგილების სანიტარულ-ტეხნიკური და მექანიკური გაწყობილობა, საფაბრიკო-საქარხნო გაწყობილობა და სხვ.

„**8**“ ჯგუფის სამუშაოთა ღირებულების გამოსარევევად მხედველობაში შიიღება მხოლოდ სპეციალურ სამუშაოთა ღირებულება, უწყებული ნაგებობის საერთო-სამშენებლო სამუშაოთა ღირებულების სათვალვში მიუღებლად, რადგანაც ეს უკანასკნელი ღირებულება გამოიანგარიშება „**5**“ და „**8**“ ჯგუფებში.

ისეთი ახალი კონსტრუქციებისა და მასალის გამოყენების დროს, რაც უწყებულ პროექტში სპეციალურ ტეხნიკურ გამოანგარიშებას საჭიროებს, ზემოაღნიშნული რაოდენობანი შეიძლება გადიდებულ იქნეს:

„**5**“ ჯგუფისათვის 20% -ით,

„**8**“ ჯგუფისათვის 15% -ით,

„**8**“ ჯგუფისათვის 10% -ით.

ეს გადიდება არ შეეხება იმ ახალ კონსტრუქციებს, რაც უკვე გამოყენებულია და გავრცელებული საესებით დამუშავებული ტიპების სახით.

ტიპიური პროექტების შეფარდების დროს ნორმების რაოდენობა შემცირებულ უნდა იქნეს ზემოაღნიშნულ სიდიდეთა 50% -ამდე, ტიპიური პროექტის დეტალირებისა და გამოყენების ოდენობის მიხედვით.

ისეთი პროექტის შეფარნის დროს, რომელიც განმეორებულ იქნება უწყებული მშენებლობის რამდენიმე ობიექტისათვის, ხარჯის ნორმების განსაზღვრავად აიღება ერთი ობიექტის ღირებულება 1,00-დან 1,50 დე ფარგალის კოეფიციენტით, იმ საპროექტო და საბინებლო სამუშაოთა რაოდენობისა და მოცულობის მიხედვით, რაც დაკავშირებულია პროექტის სხვა ობიექტისათვის შეფარდებასთან.

კაპიტალური სარემონტო სამუშაოებისათვის ზემოაღნიშნული ნორმები გამორავლებულ უნდა იქნეს 0,5-დან 1,0-დე კოეფიციენტზე, სამუშაოთა ხასიათისა და ამოცანის სირთულის მიხედვით.

შენიშვნა 1. აღნიშნული პარაგრაფის ნორმები არ შეეფარდება იმ უაღრესად მნიშვნელოვან და პასუხსავებ სამუშაოებს თუ საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის სამუშაოებს, რომლებისთვისაც მთავრობის სპეციალური დაფგენილებებით განსაზღვრული იქნება ხარჯების სპეციალური რაოდენობა.

შენიშვნა 2. ტეხნიკური და ეკონომიკური საკვლევო და საძიებლო სპეციალური და მოცულობით ოვალსაჩინო სამუშაოები ამა პარაგრაფს არ შეეხება და მათვის საჭირო ხარჯები გამოიანგარიშება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით.

შენიშვნა 3. სათანადო სახალხო კომისარიატის ან სამშენებლო კომიტეტის განსაკუთრებული ნებართვით თვითეულ ცალკე შემთხვევაში კონკურსების ხარჯების გასტუმრება შეიძლება მიეკუთვნოს სპეციალურ ხარჯთაღრიცხვებს.

შენიშვნა 4. სახალხო კომისარიატებს ან ცენტრალურ—უწყების გაგარეშე მყოფ—დაწესებულებებს დაეკისრება, სათანადო სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტთან შეთანხმებით, დააწესონ, ამა კარის ნორმების ფარგლებში, საპროცენტო შეფასების დაწვრილებითი შეკალა, როგორც ამ კარში აღნიშნულ ცალკეული სახის ხარჯებისათვის, ისე სხვადასხვა კატეგორიის სამუშაოებისათვის, რაც მათ გამგებლობაში შედის.

შენიშვნა 5. მე-11 წ.-ში აღნიშნული პროცენტები ეხება ყველა პირდაპირი ხარჯისა და ქვემოაღნიშნული—12-14—პარაგრაფებით გათვალისწინებული დამატებითი ხარჯების საერთო თანხას.

II. არაპირდაპირი ხარჯები

§ 12. არაპირდაპირ ხარჯებს, რაც დარიცხულ უნდა იქნეს სამუშაო ხელფასის პროპორციულად, ეკუთვნის:

ა) საშვებულებო.

ამ პუნქტს ეხება ხარჯი—შეტყობინებისათვის სასყიდლის მისაცემად ან მის ნაცვლად კომპენსაციის მისაცემად, რაც შრომის კანონმდებლობით არის გათვალისწინებული.

ბ) გამოსასვლელი დახმარება.

ამ პუნქტს ეხება ხარჯი—მშრომელისათვის გამოსასვლელი დახმარების მისაცემად მისი დათხოვნის გამო შრომის კმნონმდებლობის თანახმად.

„ა“ და „ბ“ პუნქტების ხარჯების რაოდენობა ერთად აღებული—არა უმეტეს 4,5%—ისა.

შენიშვნა 1-ლი „ა“ და „ბ“ პუნქტებისა. „ა“ და „ბ“ პუნქტებში აღნიშნული ხარჯების გამოიანგარიშების დროს მათი ცალკე ნორმენტურებზე დაყოფა სავალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. მაღარიან რაიონებში, რომელთა საზღვრებსაც დაადგენს შრომის სახალხო კომისარიატი, ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატთან შეთანხმებით, აგრეთვე მავნებელი პროფესიებისათვის, რომლებისათვისაც დაწესებულია ოციური შეებულება, აღნიშნული დანარიცხის რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს $8,5\%$ -დე.

გ) ს ა გ ზ ა თ — სამუშაო ადგილის მისამართვის.

ამ პუნქტს ეხება ხარჯი — იმ მუშების ყოველდღე სამუშაო ადგილამდე მიმოსვლისათვის, რომელიც სამუშაო ადგილიდან 3 კილომეტრზე დაშორებით ცხოვრობენ, და რომელთა ფაქტოური სამუშაო ხელფასი მე-6 კატეგორიის განაკვეთს არ აღემატება.

უკეთუ საჭირო იქნება მუშა-ძალის სხვა ადგილის მოგროვება ან სხვა ადგილიდან გადმოყვანა თუ როყვანა, სათანადო ხარჯები ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკე ანგარიშით, ამასთანავე ეს ხარჯები უნდა განაწილდეს უწყებული სამუშაოების უკელისით. რომლისთვისაც მუშები მოგროვილ იქნენ სხვა ადგილის, ან სხვა ადგილიდან გადმოყვანილი.

დ) მუშათა სადგომების შენახვა.

ამ პუნქტს ეხება დანარიცხი და ხარჯი (მუშების მიერ სათანადო შენატანის გამოკლებით) მუშათა ბინებისა, სასაღილოებისა, აბანოებისა და მუშათა სხვა სამომსახურეო საღილოების იჯარით აღებისა, ამორტიზაციისა, გაწყობისა და ექსპლოატაციისათვის, საერთო საცხოვრებელი სახლის კომენდატურისა და მოსამსახურეთა შესანახად და აგრეთვე კომუნალური და სხვა ხარჯი, რაც დაკავშირებულია მუშებისათვის მომსახურების გაწევასთან (ასაღულებლებისა და პირისაბანების მოვლა, დეზინფექცია, ბარაკების დეზინსექცია და სხვ.).

„გ“ და „დ“ პუნქტების ხარჯის რაოდენობა ერთად — არა უმეტეს 3% -სა.

შენიშვნა 1-ლი „გ“ და „დ“ პუნქტებისა. „გ“ და „დ“ პუნქტებში აღნიშნული ხარჯების გამოანგარიშების დროს მათი ცალკე ნომენკლატურებზე დანაწილება საგალდებულო არ არის.

შენიშვნა 2. უკეთუ, სამუშაოთა ადგილმდებარების პირობების მიხედვით, საჭიროა გადასატან მცირე აფთიაქების ქონა და ავადმყოფთა საამბულატორო პუნქტამდე გადაყვანა, ნორმა „გ“ და „დ“ პუნქტებით შეიძლება გადიდებულ იქნეს, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე $0,1\%$ -ით.

საკეთო სამუშაოთათვის სამუშაონალო მომსახურების გაწევის ხარჯი გათვალისწინებულ უნდა იქნეს განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით.

ე) მუშათა ბინებისა და სადგომების აგებისა და ხელახლი გაწყობის ხარჯები.

ეს ხარჯები შეიტანება ხარჯთაღრიცხვაში მხოლოდ საჭიროებისადამიხედვით და აღირიცხება ცალკე ანგარიშით, ხოლო არ უნდა აღემატებოდეს 3% -ს.

ახალი ბინების მასსიური შენიშნებლობის პირობებში ხარჯი განისაზღვრება განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვებით, რასაც დაერთვის დასაბუთება აღნიშნული შენობების აგების აუცილებლობის შესახებ.

ვ) სპეცტანისამოსი და შრომის ჰიგიენა — რაოდენობა არა უმეტეს 1% -სა.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—მუშების ყოველგვირი სპეციანისამოსით და საწარმოო ტანისამოსით მოსამარაგებლად, შრომის კანონმდებლობის მიხედვით, აგრეთვე მუშების საპნით, ცხიმით, გამანეიტრალებელი ნივთიერებით და სხვ. მომარაგება.

უკეთუ მასსიური მუშაობა სწარმოებს ისეთ ნიადიგზე, რომელიც გაუღენ-თილია წყლით, აგრეთვე შესასრულებელია სპეციალური ხასიათის სამუშაოები (ჰიდროტენიკური, ელექტრო-სამონტაჟო, სანიტარულ-ტეხნიკური და სხვ.), რაოდენობა შეიძლება გადიდებულ იქნეს, ხოლო არა უმეტეს, ვიდრე 2% -ით.

განსაკუთრებულ შემთხვევაში, როდესაც პირობები იმდენად მძიმეა, რომ სპეციალურ ხარჯებს მოითხოვს სპეციანისამოსისათვის (წყალსაყურყულავი სამუშაო, საკესონო, სატუბო, დაშრობისა და სხვ.), აღნიშნული ხარჯები შეიტანება ხარჯთაღრიცხვის ცალკე ანგარიშით, ა/ქსფსრ-ისა და მის შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატების მიერ დაწესებული ნორმების მიხედვით:

ზ) სახელმწიფო მოვალეობრივ და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულება—რაოდენობა არ უმეტეს $0,25\%$ -სა.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—სასყიდლის გაღებისათვის სახელმწიფოებრივ და საზოგადოებრივ მოვალეობათა შესრულების ხელის განმავლობაში, როგორიც არის: ტერიტორიალურ შექმნებულებაში გაწვევა, ყრილ აბებში მონაწილეობა, სასამართლოში მონაწილეობა სახალხო მსაჯულის ან მოწმის სახით, აგრეთვე შემფასებელ-საკონფლიქტო კომისიებში და სხვ. მონაწილეობა.

თ) შეგირდობა—რაოდენობა არა უმეტეს $2,25\%$ -ისა.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—სამშენებლო სამუშაოების მომზადებისათვის შრომის ცენტრალური ინსტიტუტის მეთოდებით, ბრიგადისრებისა და ოსტატინსტრუქტორების სასყიდლისათვის, სამშენებლო შეგიჩდობის სკოლებისა, მუშაოთა სალამოს სკოლებისა და ათისთავების სკოლებისა, კვალიფიკაციის ამმალებელი სალამოს კურსების დაფინანსებისათვის და სხვ.; აგრეთვე ხარჯები—შეგირდებისათვის ისეთი ხელფასის მისაცემად, რასაც პროდუქცია ვერ ამართლებს, და გაფუჭებული მასალის ასანაზღაურებლად.

ამ სახსარის გადარიცხვა, ხარჯვა და აღნუსხვა სწარმოებს განსაკუთრებული წესით, რაც გამოქვეყნებულ უნდა იქნეს დამატებით.

ამა პუნქტით გათვალისწინებული პროცენტების დარიცხვა სწარმოებს მხოლოდ მუშებისათვას მიცემულ სამუშაო ხელფასზე და არა ვრცელდება ცენტრალური და ადგილობრივი სამშენებლო ორგანიზაციების სააღმინისტრაციო-სატეხნიკ პერსონალზე.

ი) ადგილობრივი კომიტეტი და დელეგატები.

ამ პუნქტს ეხება დანარიცხი და ხარჯები ადგილობრივი კომიტეტისა და, შრომის კანონმდებლობის მიხედვით, პროფესიონალური მუშაობისათვის განთავისუფლებული დელეგატების შესანახად, აგრეთვე ადგილობრივი კომიტეტის სადგომის შესანახად.

კულტურული საჭიროებანი.

ამ პუნქტს ეხება დანარიცხი, კოლექტიური ხელშეკრულების მიხედვით, კულტურულ საჭიროებათათვის, აგრეთვე ხარჯი მუშა-მოსამსახურეთა კულტურულ საჭიროებათათვის მომსახურეობის გასაშევად და სადგომების (ბიბლიოთეკისა, წითელი კუთხისა და სხვ.) შესანახად.

„ი“ და „კ“ პუნქტების ხარჯის რაოდენობა ერთად $- 2\% - 0$.

ახალი კულტების ასაშენებლად საჭირო ხარჯები, აგრეთვე საერთო განათლებისა და სპეციალურ და საბავშვო დაწესებულებათა შესანახად საჭირო ხარჯები ამ პუნქტს არ ეხება; უკეთ ასეთი ხარჯები ნებადართულია სათანადო წესით, ეს ხარჯები განსაკუთრებულ ხარჯთაღრიცხვაში აღირიცხება.

შენიშვნა 1 „ი“ და „კ“ პუნქტებისა. სახელმწიფო ბიუჯეტზე მყოფ დაწესებულებათა და საწარმოთათვის „ი“ და „კ“ პუნქტებით გათვალისწინებული ანარიცხების რაოდენობა,—ადგილობრივი კომიტეტისა და დელეგატების შენახვისა და კულტურულ საჭიროებათათვის,—არ უნდა აღმატებოდეს ერთად $- 1\% - 0$.

შენიშვნა 2. „ი“ და „კ“ პუნქტებში იღნიშნული ხარჯების გამოანგარიშების დროს მათი ცალკე ხომენკლატურებზე დაყოფა სავალდებულო არ არის.

ლ) სოციალური დაზღვევის გადასახადის ანარიცხები.

ეს ანარიცხები გადაიდება თანახმად ორსებული კანონდებულებებისა—მშენებლობაში მოსაქვე მუშაობა სოციალური დაზღვევისათვის გადასადები ანარიცხების რაოდენობის შესახებ.

შენიშვნა მე-12 ს-ისა. მე-12 ს-ში ნაჩვენები პროცენტები დაერიცხება მუშა-ძალის ძირითად ღირებულებას (სამუშაო ხელფასს).

§ 13. საშენი მასალის, დამატებითი დანარიცხი—რაოდენობა არა უმეტეს $1\% - 0$ ისა.

ამ პარაგრაფს ეხება ხარჯები:

ა) მუშაობის ადგილას საშენი მასალისა, იარალისა და ინვენტარის მიღებისა და შენახვისათვის, როგორიც არის: ხარჯი მექუნივეთა და სხვათა შენახვისათვის; სამუშაოთა წარმოების ადგილას გასაშევი ხარჯი;

ბ) მშენებლობის საშეკრულებებში და თვით სამუშაოთა წარმოების ადგილას დაკარგული და გაფუჭებული მასალის ხარჯი;

გ) მშენებლობის საშეკრულებებში და თვით სამუშაოთა წარმოების ადგილას ქონებული მასალის დაზღვევის ხარჯი (მომქმედ კანონდებულებათა და ნამდვილი საჭიროების მიხედვით).

შენიშვნა 1. მე-13 ს-ში ნაჩვენები პროცენტები დაერიცხება მასალის ძირითად ღირებულებას (§ 6).

შენიშვნა 2. საღარაჯო დაცვის ხარჯები ამა პარაგრაფს არ ეხება და გათვალისწინებულია ქვევით, მე-14 ს-ის „დ“ პუნქტში.

§ 14. დამხმარე სამუშაოთ, გამართულობათ და კუთვნილებათ ეხება:

ა) საერთო ხარჯები—რაოდენობა საგადანაკვეთო დებულების მე-7 ს-ის თანახმად.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები იმ სამუშაოებისა, რაც ჩამოთვლილია სამშენებლო სამუშაოთა საგადანაკვეთო დებულების მე-7 წ-ში, რომელი დებულებაც დამტკიცებულია საუწყებათაშორისო კომისიის მიერ 1923 წ. მარტის 1-ლს, სათანადოდ დამტკიცებული შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებითურთ.

შენიშვნა 1. საგადანაკვეთო დებულების მე-7 წ-ში ჩამოთვლილი ხარჯების ნომენკლატურიდან ამოშლილ უნდა იქნეს საზაფხულო ბარაკები, როს ხარჯებიც გათვალისწინებულია ამა ინსტრუქციის მე-12 წ-ის „ე“ პუნქტში.

შენიშვნა 2. პროცენტული დანარიცხების განსაზღვრის დროს საგადანაკვეთო დებულების მე-7 წ-ით გათვალისწინებული თანხები, რაც ომის წინადროის ლირებულებას განსაზღვრავს, გადიდებულ უნდა იქნეს ერთო-ორად, ე. ი. ნაცვლად ოღნიშნული 5.000 და 125.000 მანეთისა, მიღებულ უნდა იქნეს სათანადო 10.000 მან. და 250.000 მან., ხოლო იქვე ნაჩენები შემცირება პროცენტული ანარიცხებისა უნდა იანგარიშებოდეს არა თვი-თვეულ 1.000 მანეთზე, არამედ თვითვეულ 2.000 მანეთზე.

ბ) კონსტრუქციებისა, ნაგებობათა ნაწილებისა და მასალის გამოცდა.

ხარჯები ამა პუნქტით ხარჯთაღრიცხვაში გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკე ანგარიშით, როდესაც ეს საჭიროა.

გ) ინსტრუქცენტების ამორტიზაცია.

ამ პუნქტის ეხება ხარჯები—მუშებისათვის სასყიდლის მისაცემად მათ მიერ ხელით სახმარი საკუთარი იარაღის გამოყენებისათვის. ეს ხარჯები შედის ამა პარაგრაფის ლიტ. „ა“ ით გათვალისწინებულ იმ საერთო ხარჯების ნორმაში, რაც საგადანაკვეთო დებულების მე-7 წ-ის თანახმად გამოიანგარიშება.

დ) დაცვა.

ხარჯი დაცვისათვის, როდესაც სამუშაოები 500.000 მანეთამდე (ამიანად) ღირს, განისაზღვრება არა უმეტეს, ვიდრე 0,5% -ის რაოდენობით, ხოლო როდესაც სამუშაოები 1.500.000 მან. ღირს და მეტიც—არა უმეტეს, ვიდრე 0,25% -ის რაოდენობით.

საშუალებო რაოდენობანი განისაზღვრება ინტერპოლაციით.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები:

1) სამუშაოთა ტერიტორიისა, ნაგებობათა და მასალის სადარაჯო დაცვის მუშაობის ადგილას (დარაჯთა შენახვა და სხვ.);

2) სახანძარო დაცვისათვის: ცეცხლმქრობებისა, სახელურებისა და ფოხალების შესაძნად, ღროებითი წყალსადენების მოსაწყობად და სხვ., აგრეთვე ხანგრძლივვადიანი სახანძარო ინვენტარის ამორტიზაციისათვის.

ხანგრძლივვადიანი სახანძარო ინვენტარის შეძენა სწარმოებს განსაკუთრებული ხარჯთაღრიცხვით.

ხარჯები ისეთ სამუშაოთა სახანძარო დაცვისათვის, რაც განსაკუთრებული წესისამებრ დადგენილ სპეციალურ პირობებშია, ხარჯაღრიცხვებში ცალკე ანგარიშით შეიტანება.

ე) უშიშროების ტეხნიკა.

უშიშროების ტეხნიკის ხარჯი, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 500.000 განეთამდება (ამინაღ), განისაზღვრება არა უმეტეს 0,5% -სა, ხოლო, როდესაც სამუშაოთა ღირებულება 1.500.000 გან. და მეტია,— არა უმეტეს 0,25% -სა. საშუალებო რაოდენობა განისაზღვრება ინტერპოლაციით.

ამ პუნქტს ეხება ხარჯი როგორც იმ დამატებითი შტატის შესანახად, რომელიც დაიქირავება უშიშროების ტეხნიკის განსახორციელებლად და ამ ტეხნიკის შესრულებისათვის არსებულ ყველა გამართულობისა და ხელსაწყოსათვის ზედამხედველობის გასაწევად, ისე თვით უშიშროების ტეხნიკის გამართულობის შესარულებლად.

შენიშვნა 1 „დ“ და „ე“ პუნქტებისა. „დ“ და „ე“ პუნქტებში აღნიშნული ხარჯები ცალკე არ აღინიშვება და სამუშაოთა ღირებულების შესაფერი რაოდენობით დაემატება მე-14 წ-ის ნორმას.

შენიშვნა 2. მე-14 წ-ში აღნიშნული პროცენტები დაერიცება მუშაძალისა და მასალის ძირითად ღირებულების საერთო თანხას (მე-3 წ-ის „ბ“, „გ“ და „დ“ პუნქტები) დამატებითი ხარჯებითურთ (მე-12 და 13 წწ-ბი).

§ 15. სააღმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯებს ეხება:

ა) ხარჯები ცენტრალური აპარატების შენახვისათვის, მათ შორის ხარჯი მოსამსახურეთა შენახვისათვის (ძირითადი სამუშაო ხელფასი და ყველა მისი დანარიცხი, ნაჭრობითი და ზედმეტი სამუშაოების სასყიდელი, საწარვლინებო და საგზაო ხარჯი, კონტორის შესანახი ხარჯები, როგორიც არის: სადგომების დაქირავება და გაწყობა, გათბობა, განათება, აღაგება, კომუნალური მომსახურება, მსუბუქი ტრანსპორტი, საკანცელარიო და საფოსტო და სხვა ხარჯი.

ბ) საწარმოო აპარატების შენახვა.

ამ პუნქტს ეხება ამა პარაგრაფის „ა“ პუნ. ჩამოთვლილი ხარჯები სამუშაოთა აღგიღზე საწარმოო აპარატების შენახვისათვის.

გ) პრაქტიკანტები და სტაციონარები.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—პრაქტიკანტებისა და სტაციონერებისათვის სასყიდლის მისაცემად, მათ შორის იმ პირთა გამოყლებით, რომელთაც საშტატო თანამდებობა უჭირავთ და რომელთა შენახვის ხარჯი ამა პარაგრაფის „ბ“ პუნქტს ეხება.

„ბ“ და „გ“ პუნქტების ხარჯების რაოდენობა ერთად—არა უმეტეს 6% -სა

შენიშვნა „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებისა. „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტებში აღნიშნული ხარჯების ცალკე აღნიშვება სავალდებულო არ არის.

დ) შენობათა და ნაგებობათა დაზღვევა.

აღნიშნული ხარჯი შეიტანება ხარჯთაღრიცხვაში, უკეთუ ეს საჭიროა, და გამოიანგარიშება სახელმწიფო დაზღვევის ნორმებთან შეთანხმებით.

შენიშვნა 1. მშენებლობის ღირებულების შემცირების აპარატისა, საკვლევო-სარაციონალიზატორო მოქმედის აპარატისა და ახლი ნორმებისა, ახალი მასალებისა და კონსტრუქციების შემოწმების აპარატის შენახვის ხარჯები, იგრძეთვე სამუშაოთა წარმოების ახალი ფორმებისა, მცოდნებისა და ხერხის განსახორციელებლად ინსტრუქტორების შენაურის ხარჯი გატარებული გადასახლება.

ბულ უნდა იქნეს განსაკუთრებულ ხარჯთაღრიცხვაში; ამასთანავე, ეს ხარჯები მთლიანად არ უნდა აღემატებოდეს $0,2\%_0$ -ს იმ მშენებლობაში, რომლის პროგრამითაც ერთ ადგილას გაერთიანებულია 3 მილიონამდე და ნაკლებად ღირებული სამუშაოები, და— $0,1\%_0$ -ს 10 მილ. და მეტად ღირებული სამუშაოების მქონე მშენებლობაში. საშუალებო ხარჯები განისაზღვრება ინტერპოლაციით.

შენიშვნა 2. სააღმინისტრაციო-სამეურნეო ხარჯები მელიორატიულ, ჰიდროტენიკულ, სასანიტარო-ტენიკულ და სხვა ამგვარ სამუშაოთა მწარმოებელი ორგანიზაციებისათვის შეიძლება აღრიცხულ იქნეს ხარჯთაღრიცხვებში ცალკე ანგარიშით, ხოლო არა უმეტეს $7,5\%_0$ -სა.

შენიშვნა 3. ამა პარაგრაფათში აღნიშნული პროცენტები დაერიცხება მუშა-ძალისა და მასალების ღირებულებისა და მთლად მე-3 წ.-ისა და მე-4 წ.-ის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების დამატებითი ხარჯების საერთო თანხას.

§ 16. სხვა (წინა პარაგრაფებით გაუთვალისწინებელ) ხარჯებს (მე-4 წ.-ის „ე“ პუნ.) ეხება:

ა) გაუთვალისწინებელი შემთხვევითი ხარჯები—რაოდენობით არა უმეტეს $0,25\%_0$ -სა.

ამ პუნქტს ეხება შემთხვევითი ხარჯები, რაც დაკავშირებულია მუშაობის წარმოებასთან, როგორიც არის: სასყიდელი მოცდენისათვის ატმოსფერულ მოვლენათა და სხვ. გამო.

მშენებელმა ორგანიზაციებმა უნდა იხმარონ ღონისძიება აღნიშნული ხარჯების შესამცირებლად მუშების სხვა სამუშაოზე გადაყვანით.

აღნიშნულ $0,25\%$, ნორმაში არ შედის ის ზედმეტი ხარჯები, ხარჯთაღრიცხვისთან შედარებით, რაც მოხდა საგადანაკვეთო დებულების მე-13 წ.-ში გათვალისწინებულ გარემოებათა გამო, აგრეთვე იმ გაუთვალისწინებელ სტიურ მოვლენათა გამო, რამაც გამოიწვია მუშაობის ხანგრძლივი (ზედიზედ 3 დღეზე მეტი ხნით) შეწყვეტა, უკეთუ მუშა-ძალის გამოყენება სხვა სამუშაოზე შეუძლებელია; აღნიშნული ზედმეტი ხარჯები აღინუსხება ნამდვილად გაწეული ხარჯების მიხედვით.

„ა“ პუნქტში აღნიშნული პროცენტები დაერიცხება მუშა-ძალისა და მასალების ძირითადი ღირებულებისა და მთლად მე-3 წ.-ისა და მე-4 წ.-ის „ა“, „ბ“ და „გ“ პუნქტების დამატებითი ხარჯების საერთო თანხას.

ბ) საწარმოო რისკი და მოგება.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—სამეწარმეო რისკისათვის, მუშაობა ყოფაცხოვრების გაუმჯობესების ფონდის შექმნისათვის, მშენებელი ორგანიზაციების საბრუნვი კაპიტალის შექმნისათვის და სხვ.. ამა პუნქტით გათვალისწინებული დანარიცხის რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს $3\%_0$ -ს.

ამა პუნქტში აღნიშნული პროცენტები დაერიცხება მუშა-ძალისა და მასალების ძირითადი ღირებულებისა და მე-3 და 4 პარაგრაფების დამატებითი ხარჯების საერთო თანხას; ხოლო იხარჯება ამ პროცენტების ის ნაწილი, რაც შეესაბამება ნარდად მუშაობის წესით შესრულებულ სამუშაოთა ღირებულებას.

გ) სამუშაოთა გაცემის ხარჯი; შენების დროს ნაგავის მოგროვებისა და გაზიდვის ხარჯი; საწარმოს ამუშავების ხარჯი; იმ სამუშაოთა წარმოების ხარჯი, რაც, მათი ხასიათის მიხედვით, არ შეიძლება სრულად დამთავრებულ იქნეს ნაგებობის საექსპლოატაციოდ გადაცემამდე, მაგალითად: იატაკების მიწევა, კედლების დაჩუროვა დაწევის შემდეგ, გათბობისა და ვერტილიაციის რეგულირება, სადურგონ სამუშაოთა შეკეთება—ეს ხარჯები ხარჯთაღრიცხვაში შეიტანება ცალკე ანგარიშით.

დ) გადასახადი და გამოსაღები.

ამ პუნქტს ეხება ხარჯები—გადასახადებისა და გამოსაღებისათვის, რაც დადგენილია სათანადო კანონმდებლობით; აგრეთვე ის გამოსაღები, რაც მიეცემა სამშენებლო კონტროლის სამმართველოებს მათ მიერ შესრულებული საქმის გაფორმებისათვის.

ეს ხარჯები დაერიცხება მუშა-ძალისა და მასალის ღირებულებისა და მე-3 და 4 წქ. ის დამატებითი ხარჯების საერთო თანხას.

§ 17. ამა ინსტრუქციით დადგენილი ხარჯების ფარგლის გაღიდება შეიძლება მხოლოდ გამონაკლისს შემთხვევაში, განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, ისიც თვითეულ ცალკე შემთხვევისათვის სათანადო სახალხო კომისარიატისა, ცენტრალური—უწყების გარეშე მყოფი—დაწესებულებისა ან აღმასრულებელი კომიტეტის შეთანხმებით ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტთან—იმ სამუშაოთა გამო, რომლის პროექტებსაც ამტკიცებენ სსრკ-ისა ან ა/კსფსრ-ის ორგანოები და რესპუბლიკანურ სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტებთან—სხვა დანარჩენ პროექტების გამო.

§ 18. ტეხნიკური ხასიათის ღირექტივებს ამა ინსტრუქციის შესაფარდებლად და მასთან საბუხალტრო ანგარიშების შესაგუებლად მისცემენ სათანადო სახალხო კომისარიატები ან ცენტრალური დაწესებულებები მათ ქვემდებარე ორგანოებს.

§ 19. 1-ლ პარაგრაფში დასახელებული თვითეული დაწესებულება და საწარმო მოვალეა—მშენებლობის ანგარიშის შედეგების დროს—მოახდინოს არაპირდაპირი ხარჯების ანალიზი, შეადაროს ეს ხარჯები ამა ინსტრუქციაში აღნიშნულ ფარგლებს და მოისაზროს გზები ამ ხარჯების რაც შეიძლება მეტად შემცირებისათვის.

სამშენებლო ანგარიშების ეს ნაწილი, ანალიზის შედეგებთან და განზრანულ ღონისძიებებთან ერთად, წარედგინება ამიერკავკასიის სატეხნიკო-სამშენებლო კომიტეტს (რესპუბლიკანური დაწესებულება წარადგენს—რესპუბლიკანური სამშენებლო-სატეხნიკო კომიტეტის მეშვეობით), იმ კონკრეტულ ღონისძიებათა შესამუშავებლად, რაც სცილდება ამა თუ იმ სახალხო კომისარიატის ან დაწესებულების კომპეტენციას.

დადგენილება № 60 პ/კს სრ შრომის სახალხო კომისარისათვის.

1929 წ. მაისის 25.

97. სადილისთვის საწარმოთა მუშაობის საფალდებულო შეწყვეტის შესახებ.

ა/კსფსრ-ში მომქმედი კანონდებლობით ყველა მშრომელს სამუშაო დროის განმავლობაში მიცემული აქვს ღრღ მუშაობის შეწყვეტისა და სასასვერებლად და პურის საჭმელად მუშაობის ასეთი შეწყვეტა საჭიროა მშრომელთა ჯანმრთელობის დასაცავად, აგრეთვე შრომის ნაყოფიერების გასაღილებლად და შრომის დისციპლინის განსამტკიცებლად.

ამისდამიუხედავად, არიან ისეთი საწარმონი, საღაც მუშაობის ასეთი შეწყვეტა აქამდე შემოლებული არ არის, თუმცა მათი წარმოების ხასიათი საამისო შესაჭლებლობას იძლევა; ამასთან ერთად, არის ისეთი შემთხვევები, რომ მშრომელი პურს მუშაობის დროს და თვით სამუშაო ადგილას სჭამენ, რაც არღვევს საწარმოს ნორმალურ მუშაობას და იწვევს ხოლმე უბედურ შემთხვევებს. ამ საკითხს აქვს უაღრესი მნიშვნელობა განსაკუთრებით ისეთ საწარმოში, რომელიც გადაყვანილია 7 საათის სამუშაო დღეზე, და საღაც სამუშაო დღის შემჭიდროება აღლიერებს შრომის ინტენსივობას და აუცილებლად მოითხოვს მუშაობის შეწყვეტას დასასვერებლად.

ზემოაღნიშნული გარემოების გამო და „შრომის დისციპლინის განმტკიცების შესახებ“ გამოცემული ა/კსფსრ სახალხო კომისართა საბჭოს 1929 წ. პარილის 11-ს თარიღისა და 118 №-ის დადგენილების მე-4 მუხლის „გ“ პუნქტის თანახმად, აგრეთვე შრომის კანონთა კოდექსის 98—100 მუხლებისა და „7 საათის სამუშაო დღის მქონე საწარმოში სადილისათვის მუშაობის შეწყვეტის შესახებ“ გამოცემული სსრკ-ის შრომის სახალხო კომისარიატისა, სსრკ-ის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს და პროფესიონალურ კავშირთა სრულიად საკავშირო საბჭოს 1929 წ. მაისის 9-ს თარიღისა და 158 №-ის ცირკულიარის მიხედვით,—ა/კსფსრ შრომის სახალხო კომისარიატი, ა/კსფსრ სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოსთან და ამიერკავებისის პროფესიონალურ კავშირთა საბჭოსთან შეთანხმებით, ადგენს:

1. წინადაღება მიეცეს ა/კსფსრ შედგენილობაში შემავალი რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებს—შეუდგენ სადილისათვის მუშაობის შეწყვეტის შემოლებას ყველა იმ საწარმოში, საღაც ეს ჯერ კიდევ შემოლებული არ არის, და—პირველ რიგში—ყველა ისეთ საწარმოში, რომელიც გადაყვანილია 7 საათის სამუშაო დღეზე.

ამ ღონისძიების შემოლებას წინ უნდა უძლოდეს საკითხის წინასწარი ფართოდ დამუშავება თვით საწარმოშივე და განმარტებითი მუშაობა მუშაობა შორის.

მუშაობის შეწყვეტა ისე უნდა იქნეს შემოღებული, რომ წინასწარვე გამოირჩეს და შემუშავდეს ყველა საორგანიზაციო ტეხნიკური პირობა, რაც უზრუნველყოფს უფრო სრულ და მიზანშეწონილ გამოყენებას მუშაობის შეწყვეტის დროისას შეწყვეტის ხანგრძლიობა, დასვენებისათვის და პურის ჭამისათვის საღომის მოწყობა და სხვ.)

2. რესპუბლიკების შრომის სახალხო კომისარიატებმა და სახალხო მურნეობის უმაღლესმა საბჭოებმა, პროფესიონალურ კავშირთა სათანადო საბჭოებთან შეთანხმებით, უნდა დაადგინონ იმ საწარმოთა სია, სადაც მუშაობის შეწყვეტა შეუძლებელია წარმოებითი პროცესების პირობებისა და ხასიათის მიხედვით.

3. მუშაობის შეწყვეტის დროს თვითეულ ცალკე საწარმოში ან საამქროში განსაზღვრავს შრომის ადგილობრივი ორგანო—სათანადო პროფესიონალურ ორგანოსთან და საწარმოს აღმინისტრაციასთან ერთად.

4. შრომის ინსპექციამ, შინაგანრიგების წესების დამტკიცების დროს, თვალყური უნდა ადევნოს, რათა ყოველი საწარმოს ასეთ წესებში აღინიშნოს მუშაობის შეწყვეტა, ამა დადგნილების მე-2 მუხლში მოხსენებულ საწარმოთა გამოკლებით, რომელთა შინაგანრიგების წესებში აღინიშნება პურის ჭამის ადგილი.

ა/ქსფსრ შრომის სახალხო კომისარი იაშვილი.

ა/ქ. შრ. სახ. კ-ტის კოლეგის წევრი და შრ.
დაცვის განყოფილების გამგე შახსუფარიანი.

შეთანხმებულია: ა/ქ. სახალხო მეურნ. უმაღლეს
საბჭოსთან—გულოიანი.

ა/ქ. პროფ. კავშირთა საბჭოსთან—ხარაბაძე.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 133 №-ში 1929 წ. იქნისის 14-ს.

